*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს „ახალი ქართული სკოლა“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10-11 მაისი, 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 22 ივნისი, 2022 წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | ახალი ქართული სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შპს |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 404909532 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. 43, ბინა 42. |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის N47 |
| საფოსტო ინდექსი | 0177 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | axaliqartuliskola.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | axaliqartuliskola@gmail.com |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 551633000 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მადონა ლანჩავა |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 551633000 |
| ელ-ფოსტა | lanchavamadona@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 12/04/2022 წლის ბრძანება MES 4 22 0000376108 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2022 წლის 10-11 მაისი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ცირა ნიკოლაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | ეკატერინე ვეკუა |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☐ | ☒ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☐ | ☒ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☐ | ☒ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☐ | ☒ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☐ | ☒ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☐ | ☒ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☐ | ☒ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☐ | ☒ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| ***ქვესტანდარტი*** | *1.1.* | *სკოლის მიერ, საბაზო საფეხურზე, მეშვიდე კლასის მოსწავლეებისათვის გერმანული ენის შეთავაზება რუსული ენის სწავლების შეწყვეტის სანაცვლოდ არ მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უცხოური ენების სწავლების სქემას.* |
| | *1.3.* | *სკოლაში არ ხორციელდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | 1.4. | სკოლის რეგულაცია სემესტრული გამოცდის ჩატარების ვადებთან დაკავშირებით განსხვავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ვადებისაგან. არ არის განსაზღვრული, რომ ექსტერნატის გამოცდას აბარებენ მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი. |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.1. | სკოლას არ ჰყავდა საშუალო საფეხურის განხორციელებისათვის საჭირო მასწავლებელი რამდენიმე საგანში. |
| | 3.3. | დაწესებულებაში კონკურსის გამოცხადების შესახებ დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი არ გამოიცემა; არ განისაზღვრება გამოცხადებული კონკურსის ვადები, კონკურსის პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. ერთი მასწავლებელი დასაქმებული იყო კონკურსის შესახებ განაცხადის საჯაროდ გამოქვეყნების გარეშე. |
| | 3.5. | შემუშავებული არ არის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმი, არ მუშაობდა ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და არ ხორციელდებოდა სკოლის დებულებით განსაზღვრული აქტივობები. ვერ დადგინდაა, რომ თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | *სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტის ფორმალური გამართულობისათვის დაერთოს დანართის სახით საათობრივი ბადე (გაკვეთილების ცხრილი - ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 23, პუნქტი 1-ს შესაბამისად), მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (მუხლი 21. პუნქტი 4 თ) (კონფიდენციალობის უზრუნველყოფით).* |
| | *1.1.* | *სასკოლო სასწავლო გეგმაში გასწდეს ბეჭდური ხარვეზი მე-8 და მე-9 კლასის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ცხრილში, დააზუსტოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, საათობრივ ბადეში განსაზღვროს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა.* |
| | *1.1.* | *სასკოლო სასწავლო გეგმით განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების აღწერილობა და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი მომსახურების ფარგლებში შეთავაზებულ საგნებში (რუსულ ენაში, მხატვრულ კითხვასა და ისტორიის შესავალში) შეიმუშავოს სასწავლო გეგმები.* |
| | *1.2.* | *შემაჯამებელი დავალების კომპონენტში დანერგოს კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები.* |
| | *1.2.* | *სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია,* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | *რომ საკუთარი რესურსებისა და მოსწავლეების ინტერესის გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზოს სხვადასხვა არჩევითი საგანი და განსაზღვროს არჩევით საგანში შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა.* |
| | *1.3.* | *სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახოს ინკლუზიური განათლების კონცეფცია და სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მიეცეს ერთიანი სახე.* |
| | *1.6.* | *სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმში გაითვალისწინოს სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები, განსაზღვროს განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები, ანგარიშგების ფორმა.* |
| ***სტანდარტი*** | ***მატერიალური რესურსი*** | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.6. ა)* | *სკოლამ უზრუნველყოს საევაკუაციო გზისა და გასასვლელის მოწესრიგება. ევაკუაციის გეგმით განსაზღვრულ ადგილზე დაამონტაჟოს ბიბლიოთეკაში არსებული 1 ცეცხლმაქრი.* |
| | *2.6. ე)* | *შენობის შესასვლელის ვიდეომეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად დამონტაჟდეს დამატებით უსაფრთხოების 1 კამერა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესასვლელის სრული ვიდეოკონტროლი. შენობის მესამე სართულზე, სკოლის შესასვლელში, დამონტაჟდეს დამატებით 1 კამერა.* |
| | *2.6. გ)* | *2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად: შეირჩეს შესაბამისი სპეციალობის ექიმი, პაციენტთა მომართვიანობის აღიცხვა იწარმოებოდეს სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში, კაბინეტი აღიჭურვოს სამედიცინო ტახტით.* |
| | *2.7.* | *შინაგანაწესიდან ამოიღოს ძალადაკარგული მე-5 მუხლი საკლასო ჟურნალით სარგებლობასა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *2.8.* | *სტრატეგიული გეგმაში აისახოს კონკრეტული ამოცანები, მათი განხორციელების ვადები, მიზნის მიღწევის ინდიკატორები, ანგარიშგების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები.* |
| ***სტანდარტი*** | ***ადამიანური რესურსი*** | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | *უზრუნველყოს საშუალო საფეხურის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შერჩევა.* |
| | *3.4.* | *წამყვან მასწავლებელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაითვალისწინებული იყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული წამყვან მასწავლებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფუნქციებიდან მინიმუმ ოთხი ფუნქცია.*<br>*შესაბამისობაში მოვიდეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დასაქმებულთა სამუშაო პოზიციის შესახებ ასახული ინფორმაცია მასწავლებელთა ხელშეკრულებაში მითითებულ პოზიციებთან. დამატებითი მომსახურების პედაგოგთან გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამისი პოზიციის მითითებით.* |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | შპს "ახალი ქართული სკოლის" მისიაა მისცეს აღსაზრდელებს თანამედროვე სწრაფადცვლად მოთხოვნათა შესაბამისი აკადემიური განათლება, განუვითაროს მათ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბოს მათ დამოუკიდებელი კრიტიკული და ლოგიკური აზროვნება და მოამზადოს ისინი ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შპს ახალი ქართული სკოლის მიზანია შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზება:<br>➢ თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა სასწავლო და საგაკვეთილო პროცესში.<br>➢ სასწავლო დისციპლინების გაღრმავებული სწავლება.<br>➢ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში.<br>➢ საგაკვეთილო და სააღმზრდელო მუშაობის ინტეგრაცია.<br>➢ მოსწავლეთა სულიერი განვითარება, სამოქალაქო აღზრდა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბება.<br>➢ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.<br>➢ სკოლის საქმიანობის აგება დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით.<br>➢ პედაგოგთა ზრდისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.<br>• მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მუდმივი სრულყოფა. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტი ეთანხმება | აღწერა |
|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 210 | ☐ | *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☒ | *ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში სკოლის სურვილია განახორციელოს საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. სკოლა ფლობს მის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამის საკლასო ოთახებს, მერხებსა და სხვა აუცილებელ ინვენტარს. თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა საშუალო საფეხურის განხორციელებისათვის საჭირო მასწავლებელი რამდენიმე საგანში.* |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ახალი ქართული სკოლა" წარმოადგენს შპს „სკოლა ლიცეუმ კვირიკეს" სამართალმემკვიდრეს, რომელმაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებით მოიპოვა 2012 წლის 23 თებერვალს. სკოლამ 2016 წლის 24 აგვისტოს გაიარა ხელახალი ავტორიზაცია და მოიპოვა საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, შპს „ახალი ქართული სკოლის" სურვილია განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.<br>სკოლამ წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დაწყებითი და საბაზო საფეხურებისათვის და სასკოლო სასწავლო გეგმის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროექტი 2022-2023 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის.<br>2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით 2021 წლის 03 სექტემბერს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ საკითხებს: სკოლის მისია, საათობრივი ბადე - კლასების, საგნებისა და კვირეული დატვირთვის მიხედვით, დამატებითი მომსახურება, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალი კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, საგანმანათლებლო რესურსები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა და სადამრიგებლო მუშაობის კონცეფცია.<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის გვერდები არ იყო დანომრილი, სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ იყო სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. სკოლის საათობრივი ბადე არ განსაზღვრავდა საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას. სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტის ფორმალური გამართულობისათვის დაერთოს დანართის სახით საათობრივი ბადე (გაკვეთილების ცხრილი - ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 23, პუნქტი 1-ს შესაბამისად), მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (მუხლი 21. პუნქტი 4 თ) (კონფიდენციალობის უზრუნველყოფით).<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლით დგინდება, რომ შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ცხრილში არის ბეჭდვითი ხარვეზები, ხოლო გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი არ არის სრულყოფილი. კერძოდ, მერვე და მეცხრე კლასისათვის განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობები ბეჭდური ხარვეზის გამო გაურკვეველია; შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჩამონათვალში და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელობის სიაში მე-7 კლაში ჩაწერილია საგანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები. აღნიშნული საგანი არ არის გათვალისწინებული მოქმედ ეროვნული სასწავლო გეგმაში და არც სკოლაში ისწავლება; გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში მე-7 კლასში არ არის საგან „მოქალაქეობის“ სახელძღვანელო. მე-9 კლასში ქიმიაში დასახელებულია ორი სხვადასხვა გამომცემლობის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. გასაუბრებით დგინდება, რომ მათგან ერთს მასწავლებელი იყენებს დამატებით რესურსად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სასკოლო სასწავლო გეგმაში გასწორდეს ბეჭდური ხარვეზი მე-8 და მე-9 კლასის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ცხრილში, დაზუსტდეს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, საათობრივ ბადეში განისაზღვროს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა.<br>2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) სწავლება იწყება I კლასის პირველი სემესტრიდან. მეორე უცხოური ენის (რუსული ენა) სწავლება იწყება V კლასიდან და გრძელდება IX კლასის ჩათვლით 2 საათიანი კვირეული დატვირთვით. სკოლაში დამატებითი მომსახურების სახით ისწავლება რუსული ენა როგორც ფაკულტატური საგანი I-IV კლასებში 2 საათიანი კვირეული დატვირთვით.<br>ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ სკოლაში ასევე ისწავლება გერმანული ენა. გერმანული ენის სწავლების შესახებ ინფორმაცია ასახული არ იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში. გასაუბრებითა და ელ. ჟურნალის შესწავლით დადგინდა, რომ მეშვიდე კლასში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არჩევანს გერმანულ ენასა და რუსულ ენას შორის. 2020-2021 სასწავლო წელს მე-7 კლასის სამმა მოსწავლემ აირჩია გერმანული ენა და შეწყვიტა რუსული ენის შესწავლა.<br>**მეორე უცხოური ენა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლება სამივე საფეხურზე (V-XII კლასებში). სკოლის მიერ, საბაზო საფეხურზე, მეშვიდე კლასის მოსწავლეებისათვის გერმანული ენის შეთავაზება *რუსული ენის სწავლების შეწყვეტის სანაცვლოდ* არ მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უცხოური ენების სწავლების სქემას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მეორე უცხოური ენის სწავლების არსებული სქემის საკითხი გადაწყვიტოს სამინისტროსთან წერილობით შეთანხმებით.**<br>ვიზიტის მეორე დღეს სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. პროექტში წარმოდგენილი საათობრივი ბადის მიხედვით სკოლა გეგმავს მოსწავლეებს მეხუთე კლასში შესთავაზოს მეორე უცხოური ენის სტატუსით რუსულ ენასა და გერმანულ ენას შორის არჩევანი. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ასახულია აღნიშნულისაგან განსხვავებული სურათი: I-IV კლასების გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს შორის არის რუსული ენის სახელმძღვანელოები. ამდენად რუსული ენის სწავლების სქემა სკოლაში განსაზღვრას საჭიროებს.<br>სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებასა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. წარმოდგენილია მათი ჩამონათვალი, თუმცა არ არის მომსახურების აღწერილობა და საჭიროების დასაბუთება. |

- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა ფაკულტატური სახით:

| საგანი/კლასი | I | II | III | IV | V | V I |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქართული ენა და ლიტერატურა | 5 | 4 | 3 | 3 | 4 | 4 |
| მათემატიკა | 5 | 4 | 4 | 4 | 5 | 5 |
| ინგლისური ენა | 3/2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| რუსული ენა | 3 | 3 | 3 | 3 | 1 | 1 |
| **სულ** | ***16/15*** | ***13*** | ***12*** | ***12*** | ***12*** | ***12*** |

- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა ფაკულტატური სახით:

| საგანი/კლასი | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ქართული ცეკვა | 2 | 2 | 2 | 1 |
| მხატვრული კითხვა | 1 | 1 | | |
| ისტორიის შესავალი | | | | 1 |
| **სულ** | ***3*** | ***3*** | ***2*** | ***2*** |

სკოლას ვთხოვეთ წარმოედგინათ თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის (საგნები -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მათემატიკა, ქართული, რუსული, ინგლისური, ისტორიის შესავალი, მხატვრული კითხვა, ქართული ცეკვა) ამ მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმები. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ქართული ცეკვის პროგრამა. დირექტორის განმარტებით, დამატებითი მომსახურების ფარგლებში ქართულ ენაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში მიმდინარეობს დამატებითი მუშაობა გაკვეთილებზე შესწავლილი საკითხების განსამტკიცებლად და საშინაო დავალებების მოსამზადებლად. რუსულ ენაში, მხატვრულ კითხვასა და ისტორიის შესავალში არ იყო წარმოდგენილი სასწავლო პროგრამები. ფაკულტატურ რუსულ ენასთან მიმართებით სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი იყო სახელმძღვანელოები I-IV კლასებისათვის:<br>1-ლი კლასი: გამომცემლობა - ოცდამეერთე ავტორი: მარინა ბარსეგოვა - 01-02 დონე;<br>მე-2 კლასი: 5 კლასი, გამომცემლობა - არტანუჯი ავტორი: მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე.<br>მე-3 კლასი: 5 კლასი, გამომცემლობა - არტანუჯი ავტორი: მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე.<br>მე-4კლასი: 6 კლასი, გამომცემლობა - არტანუჯი ავტორი: მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე.<br>სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების აღწერილობა და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი მომსახურების ფარგლებში შეთავაზებულ საგნებში (რუსულ ენაში, მხატვრულ კითხვასა და ისტორიის შესავალში) შეიმუშავოს სასწავლო გეგმები.<br>სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში სასწავლო პროცესი იწყება 09:30 საათზე. გაკვეთილის ხანგრძლივობა (გარდა პირველი და მეორე კლასისა) განისაზღვრება 45 წუთით. პირველი კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია, ხოლო მეორე კლასში - 40 წუთი. სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილების განრიგის მიხედვით მეორე კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა არის 45 წუთი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილების განრიგი, რომელშიც ცალკე გამოიყო მეორე კლასის დღის რეჟიმი, რომლის მიხედვით გაკვეთილების ხანგრძლივობაა 40 წუთი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პირველ კლასში 20 წუთიანი დასვენებებია. დამატებითი მომსახურების ჩათვლით სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს 16:50 საათამდე. გაკვეთილების განრიგის მიხედვით, დამატებითი მომსახურების ჩათვლით, I-VI კლასებში ტარდება 8 გაკვეთილი. სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგნების გათვალისწინებისას სკოლა ყურადღება აქცევს იმას, რომ მოსწავლეებს სათანადო დასვენებისა და კვების საშუალება ჰქონდეთ. I-VI კლასის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებითა და დასვენებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა, 03/09/2022 **დანართი N1.**<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი საშუალო საფეხურისათვის, **დანართი N2.**<br>• პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 03/09/2021<br>• ბრძანება სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ, 03/09/2021<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი 2022-2023 წლისათვის,<br>• დირექციასთან გასაუბრება,<br>• ელ. ჟურნალი. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო მუშაობის კონცეფცია და სადამრიგებლო პროგრამები. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და სკოლის მისიით განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევაში. დამრიგებლის მუშაობა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს.<br>სკოლის დებულებით რეგულირდება საგნობრივი კათედრების ფუნქციონირების საკითხი. შექმნილია შემდეგი კათედრები:<br>1. მათემატიკა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების-ტექნოლოგიების კათედრა (მათემატიკა, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ისტ).<br>2. ქართული ენა და ლიტერატურა, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა (ქართული ენა და ლიტერატურა, ჩვენი საქართველო, მე და საზოგადოება, ისტორია, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სპორტი).<br>3. უცხოური ენების კათედრა (ინგლისური ენა, რუსული ენა).<br>სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა პორტფოლიოები, რომელშიც განთავსებული იყო შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია. ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები ზოგიერთ საგანში ორიენტირებული იყო დეკლარატიული ცოდნის შემოწმებაზე, ვერ ამოწმებდა მოსწავლეთა მაღალ სააზროვნო უნარებს. სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში დანერგოს კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები.<br>სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი საშუალო საფეხურისათვის. პროექტის თანახმად საშუალო საფეხურზე ისწავლება ყველა სავალდებულო საგანი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის შესაბამისად. <u>არჩევითი საგნის სახით სკოლა მოსწავლეებს X, XI და XII კლასის პირველ სემესტრში სთავაზობს მხოლოდ ერთ საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიული და პრაქტიკული კურსი.“</u> ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ეს საგანი არის 1 მოდულიანი საგანი, რომლის სწავლების ხანგრძლივობა არის 2 სემესტრი. არჩევით საგანში არ არის გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ საკუთარი რესურსებისა და მოსწავლეების ინტერესის გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზოს სხვადასხვა არჩევითი საგანი და განსაზღვროს არჩევით საგანში შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა.<br>სკოლა მეთორმეტე კლასში სთავაზობს აბიტურის საათებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ინგლისურ ენაში, რუსულ ენაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში, ბიოლოგია, ფიზიკასა და ქიმიაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა, **დანართი N1**<br>• საგნობრივი გეგმები,<br>• შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია,<br>• დებულება, 01/02/2021<br>• სადამრიგებლო კონცეფცია,<br>• დამრიგებლის პორტფოლიოები,<br>• მასწავლებლების პორტფოლიოები,<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • გასაუბრება დირექციასთან,<br>• შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 87 მოსწავლე. სკოლაში ირიცხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ერთი მოსწავლე.<br>სკოლის მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები კმაყოფილებას გამოხატავდნენ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხით, მოსწავლეთა ჩართულობითა და მათთან მასწავლებლების ინდივიდუალური მუშაობით.<br>წარმოდგენილი 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და მისი მონიტორინგის ფორმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის განსაზღვრული ინკლუზიური განათლების განხორციელების შესახებ სკოლის კონცეფცია, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლისათვის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და მართვის საკითხები, სკოლის ვალდებულებები, ისგ ჯგუფის მუშაობის წესები.<br>სკოლას ვთხოვეთ წარმოედგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანება, ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, შიდა მონიტორინგის წესი, შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია და შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ ისგ ჯგუფის დანიშვნის ბრძანება, ისგ ჯგუფის სხდომის 1 ოქმი და სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ცალკეული საგნების მიხედვით, რომლებიც განთავსებული იყო საგნის მასწავლებლების პორტფოლიოებში. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლაში არ ხორციელდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები.<br>**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გაითვალისწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახოს ინკლუზიური განათლების კონცეფცია და სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მიეცეს ერთიანი სახე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა,<br>• ისგ ჯგუფის დანიშვნის ბრძანება,<br>• ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი,<br>• დირექციასთან გასაუბრება,<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება,<br>• მშობლებთან გასაუბრება,<br>• მოსწავლეებთან გასაუბრება,<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები,<br>• EMIS-ის მოსწავლეთა ბაზა. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით და 2022-2023 სასწავლო წლის საშუალო საფეხურის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, მიზნები, პრინციპები და ამოცანები. სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. შემუშავებულია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, რომლებიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო გეგმით განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერები, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების გაანგარიშების წესები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესები და პირობები. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს ყველა შემაჯამებელი დავალება; თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა აძლევს საშუალებას, მისი სკოლაში გამოცხადებიდან 2 საგაკვეთილო დღის შემდეგ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში ჩატარდება (საჭიროებისამებრ) შემდეგი ტიპის გამოცდები, სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნატის გამოცდა.<br>სკოლის რეგულაცია სემესტრული გამოცდის ჩატარების ვადებთან დაკავშირებით განსხვავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ვადებისაგან. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მოსწავლის მშობელი სემესტრის დასრულებიდან 3 დღის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი ორი დღის ვადაში განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (მუხლი 36.) დადგენილია აღნიშნულისაგან განსხვავებული ვადები: მოსწავლის მშობელი დირექტორს მიმართვს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ *ექსტერნატის გამოცდით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.* თუმცა სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის განსაზღვრული მოსწავლისათვის ექსტერნატის გამოცდის დანიშვნის საჭიროება გაცდენების შემთხვევაში: ექსტერნატის გამოცდას აბარებენ მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი. (გაცდენები საბაზო-საშუალო საფეხურებზე). **სტანდარტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული რეგულაციები სკოლაში ჩასატარებელ სემესტრულ და ექსტერნატის გამოცდასთან დაკავშირებით.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა, **დანართი N1**<br>• სასკოლო სასაწავლო გეგმის პროექტი საშუალო საფეხურისათვის<br>• შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით,<br>• შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია,<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები,<br>• კათედრის პორტფოლიოები,<br>• დირექციასთან გასაუბრება,<br>• მოსწავლეებთან გასაუბრები,<br>• მასწავლებლებთან გასაუბრები. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მშობლის ინფორმირების წესი ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებული არ არის, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი დამრიგებლის მოვალეობები. მათ შორისაა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება. დამრიგებლის მოვალეობებია: გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.). რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი - დაწყებით და საბაზო საფეხურზე. დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში. რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი. საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია.<br>მასწავლებელბი მშობლების ინფორმირებისათვის იყენებენ ინდივიდუალურ გასაუბრებას, მშობელთა კრებებს, ელექტრონულ შეტყობინებებს, სატელეფონო საუბრებს.<br>შინაგანაწესის მიხედვით, სკოლის ყველა მასწავლებელი, მიუხედავად მათი დატვირთვისა, სკოლის ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია სკოლაში დარჩეს და მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მოსულ მშობელს მათი შვილების აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ.<br>სკოლაში მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიღების დღეებია ყოველი პარასკევი 12:00 საათიდან 17:00 საათამდე (გარდა წინასწარ დაბარებული მშობლებისა). სხვა დღეებში მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლების ვიზიტი დასაშვებია სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. სსსმ მოსწავლეების მშობლები სკოლის შენობაში საჭიროებისამებრ დაიშვებიან სასწავლო პროცესის განმავლობაში ნებისმიერ დროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა,<br>• სკოლის შინაგანაწესი,<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრება, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მასწავლებლებთან გასაუბრება<br>• დამრიგებლებთან გასაუბრება,<br>• მშობლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ახალი ქართული სკოლის“ შინაგანაწესით განისაზღვრება „სასწავლო პროცესის მონიტორინგის ზოგადი ფორმები“, რომლებიც სკოლამ შეიძლება გამოიყენოს. ესენია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, საგანმანათლებლო მიზნების შესრულების შესწავლა და შედეგების განხილვა სამუშაო და კათედრის სხდომებზე, საჩვენებელი/ღია გაკვეთილების ორგანიზება-ჩატარება და პედაგოგთა მეთოდოლოგიებისა და გამოცდილების წარმოჩენა-განზოგადება; დაკვირვება პედაგოგზე, რაც გამოიხატება გაკვეთილზე დასწრებითა და მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების აღრიცხვით, ცალკეულ საგნებში მოსწავლეთა მოსწრების პერიოდული მონიტორინგით: შიდა სასკოლო წერის, ტესტირების, პროექტების მომზადება-პრეზენტაციის, სასკოლო ოლიმპიადებისა და კონფერენციების ორგანიზებით და მისგან გამომდინარე შედეგების ანალიზით, მოსწავლეთა მიზნობრივი გამოკითხვით. სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორი ან მის მიერ განსაზღვრული პირი/ჯგუფი.<br>სკოლამ წარმოადგინა შპს „ახალი ქართული სკოლის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით 2021 წლის 03 სექტემბერს. მასში აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გაუმჯობესებაზე ზრუნვის კუთხით გატარებული იქნება შემდეგი სახის ღონისძიებები: სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების ანალიზი და გაითვალისწინოს სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ახალი სასწავლო წლისათვის სასწავლო გეგმის შედგენისას. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის ხელმძღვანელობით. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ გაკვეთილზე დასწრების ჩანაწერები, ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ანალიზი, მასწავლებელთა ანგარიშები. |

| | |
|---|---|
| | სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმში აღწერილი არ არის ამ მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და ანგარიშგების ფორმა. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები ასახულია განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სასწავლო წლის განმავლობაში გაწერილია შემდეგი ამოცანები: სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი, განმავითარებელი შეფასების განხორციელების მონიტორინგი, განათლების ხარისხის მონიტორინგის ორგანიზება, ღია გაკვეთილების ორგანიზება, სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება.<br>სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმში გაითვალისწინოს სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები, განსაზღვროს განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები, ანგარიშგების ფორმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა,<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, 03/09/2021, ბრძანება N1/6<br>• სამოქმედო გეგმა 2021-2022<br>• გასაუბრება დირექციასთან,<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან,<br>• მასწავლებელთა პორტფოლიოები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | • სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მეორე უცხოური ენის სწავლების არსებული სქემის საკითხი გადაწყვიტოს სამინისტროსთან წერილობით შეთანხმებით.<br>• სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გაითვალიწინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები.<br>• სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაითვალიწინოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული რეგულაციები სკოლაში ჩასატარებელი სემესტრულ და ექსტერნატის გამოცდებთან დაკავშირებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | • სკოლის მიერ, საბაზო საფეხურზე, მეშვიდე კლასის მოსწავლეებისათვის გერმანული ენის შეთავაზება რუსული ენის სწავლების შეწყვეტის სანაცვლოდ არ მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უცხოური ენების სწავლების სქემას.<br>• სკოლაში არ ხორციელდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები.<br>• სკოლის რეგულაცია სემესტრული გამოცდის ჩატარების ვადებთან დაკავშირებით განსხვავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ვადებისაგან. არ არის განსაზღვრული, რომ ექსტერნატის გამოცდას აბარებენ მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი. |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს „ახალი ქართული სკოლას“ (ს/კ 404909532) იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე შპს „ყაზბეგი 47“ (ს/კ 204538599) მიერ გადაეცა ფართი ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N47 მდებარე შენობის მესამე სართულზე. დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი შეადგენს 856,86 კვ.მ. იჯარის ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის 23 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თებერვალს. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2028 წლის 01 ივლისი.<br>შენობაში განთავსებულია სხვადასხვა დაწესებულებები. შენობაში არის ორი ლიფტი. მესამე სართულზე სკოლის ტერიტორია გამოყოფილია რკინის კარით, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე იკეტება. სკოლაში არის საკლასო ოთახები, ადმინისტრაციის კაბინეტი, რომელიც გამოიყენება დირექტორის, საქმისმწარმოებლის, სასწავლო პროცესის მენეჯერის და უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირის სამუშაო სივრცე. სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტი, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო ოთახი, არის სამზარეულო, სასადილო და 2 ოთახი საწყობისთვის. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.14.03.035.004 |
| *კვ.მ.* | 856,86 |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • იჯარის ხელშეკრულება, 23/02/2022,<br>• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882022133526; 24/02/22,<br>• დათვალიერება. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ახალი ქართული სკოლაში" არის 12 საკლასო ოთახი. ვიზიტის პერიოდში 10 საკლასო ოთახში მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული 99 მერხი იყო განთავსებული, ხოლო დასაწყობებული - 134 მერხი. დასაწყობებული, საკლასო ოთახებში, კომპიუტერულ კლასსა და სამკითხველო ოთახში არსებული მერხების ჯამური რაოდენობა იყო 238 მერხი.<br>საკლასო ოთახები აღჭურვილია სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დათვალიერება,<br>• შესყიდვების დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ახალი ქართულ სკოლაში“ მოწყობილია ოთახი, რომელიც გამოიყენება როგორც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების, აგრეთვე, სასკოლო ღონისძიებებისათვის დარბაზის ფუნქციით. მასში განთავსებული იყო პიანინო, ფარდა-დეკორაცია, შვედური კედელი, კალათბურთის ფარი, ჰულაჰუპები, სავარჯიშო ლახტი, ბურთები. სკოლა ფლობს დასაკეც ჩოგბურთის მაგიდას. **დანართი N3**<br>სკოლას იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს ამავე შენობის მეორე სართულზე არსებული ცეკვის დარბაზით. ხელშეკრულების თანახმად „მოიჯარე“ შპს „ცეკვის აკადემია“ აქირავებს „ქვემოიჯარეზე“ შპს „ახალი ქართული სკოლაზე“ მის საკუთრებაში არსებულ 130.36 კვ.მ. ფართს, აქედან დარბაზია - 104,45 კვ.მ; გასახდელები - 25,91 კვ.მ.. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2021 წლის 21 სექტემბრიდან და მოქმედებს 6 წლის ვადით. ცეკვის დარბაზი აღჭურვილია სარკეებით. **დანართი N4**<br>სპორტის გაკვეთილებისა და სასკოლო სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად გამოიყენება ასევე სკოლის შენობასთან მდებარე მუნიციპალური ღია მოედნი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დათვალიერებით,<br>• შესყიდვის დოკუმენტაციით,<br>• დარბაზის ქირავნობის ხელშეკრულება,<br>• გასაუბრებით,<br>• **დანართი N3**<br>• **დანართი N4** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში განთავსებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება N572-ით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე დამტკიცებული რეკომენდაციების" შესაბამისი კომპლექტი. ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებულია კარადებში. რეაქტივები შენახულია სეიფში. ლაბორატორიაში არის ორი ფანჯარა, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი განიავების საშუალებად. ლაბორატორიის შესასვლელში მოწყობილია ორი ონკანი. ლაბორატორიაში არის მერხები და სასკოლო დაფა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია,<br>• დათვალიერება,<br>• გასაუბრება ქიმიის პედაგოგთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო დაწესებულებაში არსებობს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. სკოლას აქვს ალტერნატიული დენის წყარო - გენერატორი. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. არის გათბობის ცენტრალური სისტემა.<br>სკოლაში არის სველი წერტილები გოგონებისათვის (2), ბიჭებისათვის (3), პედაგოგებისათვის განკუთვნილი სველი წერტილი ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე პირთათვის. ვიზიტის პერიოდში სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დათვალიერება,<br>• გადახდის ქვითრები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ახალ ქართულ სკოლაში" არის ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა. აგრეთვე არის დამხმარე მასალები მასწავლებლებისთვის. საინვენტარო წიგნის მიხედვით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 1624 ერთეულს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში გადამოწმდა სკოლის მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. სკოლა ფლობს სასკოლო სასწავლო გეგმით არჩეულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს I-IX კლასებისათვის. საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოები არ იყო წარმოდგენილი. დირექტორის განცხადებით რამდენიმე დღეში ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იქნებოდა არჩეული საშუალო საფეხურის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით.<br>ბიბლიოთეკაში არის 1 კომპიუტერი, რომელიც ვიზიტის დროს გაუმართავი იყო. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი.<br>სკოლის ბიბლოთეკარის ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებით. ის ჩართულია სკოლაში მოსწავლეთა განათლებისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებში. მისი ორგანიზებით იმართება შემეცნებითი აქტივობები. სკოლის ბიბლოთეკარი მუშაობს თავის მიერ შედგენილი სამოქმედო გეგმით.<br>ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვას, ქმნის კითხვისა და წიგნით დაინტერესების ატმოსფეროს, ეხმარება როგორც მოსწავლეებს, ასევე, მასწავლებლებს მასალის მოძიებასა და პროექტების განხორციელებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დათვალიერება,<br>• საინვენტარო წიგნი,<br>• დებულება,<br>• ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა,<br>• ბიბლიოთეკართან გასაუბრება,<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შენობის შესასვლელის გარე კიბესა და ფოიეში დამონტაჟებულია პანდუსები. შენობის შიდა კიბეზე არ არის დამონტაჟებული პანდუსები. შენობაში არის 2 ლიფტი. ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი. **დანართი N6, დანართი N7.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დათვალიერება,<br>• **დანართი N6.**<br>• **დანართი N7.** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ახალი ქართული სკოლა“ ფლობს 14 პერსონალურ კომპიუტერს. მათგან 8 განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 1 ბიბლიოთეკაში, 1 სამასწავლებლოში და 4 ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახში. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკარის სარგებლობისათვის განკუთვნილი პერსონალური კომპიუტერი არ მუშაობდა.<br>კომპიუტერები ინტერნეტით იყო უზრუნველყოფილი.<br>სკოლის საკუთრებაშია 2 ლეპტოპი, 1 ნეთბუკი, 4 პრინტერი და 1 პროექტორი.<br>გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი http://schoolbook.ge.<br>სკოლის ვებგვერდზე axaliqartuliskola.edu.ge. განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის შინაგანაწესი, სასწავლო წლის კალენდარი, სიახლეები და საკონტაქტო ინფორმაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შესყიდვების დოკუმენტაცია,<br>• ვიზუალური დათვალიერება,<br>• დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები,<br>• ვებგვერდი https://axaliqartuliskola.edu.ge<br>• ელ. ჟურნალი http://schoolbook.ge.<br>• გასაუბრება დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.<br>სკოლა აღჭურვილია 5 ცეცხლმაქრით. ცეცხლმაქრები დამუხტულია. 4 ცეცხლმაქრი განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებზე, ხოლო ერთი ცეცხლმაქრი დევს ბიბლიოთეკაში.<br>სკოლას დერეფნებში არის გასასვლელის მიმანიშნებელი ისრები. დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები. სკოლაში გამოკრულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ნომერი (112). თანამშრომელთა ნაწილს გავლილი აქვს საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზებისა და სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგი.<br>სკოლას აქვს ორი საევაკუაციო გასასვლელი. საევაკუაციო გზებზე გასავლელი კარები იღება შენობიდან გასვლის მიმართულებით. საევაკუაციო კარები, რომლებიც მუდმივად დაკეტილია, ხოლო მათი გასაღები ინახება ადმინისტრაციის ოთახში. ერთ-ერთი საევაკუაციო გზის კიბის რამდენიმე საფეხურზე და კართან განთავსებული იყო სარემონტო ნარჩენები, რაც აფერხებდა გადაადგილებას. საევაკუაციო გასასვლელებში დამონტაჟებული იყო რკინის კარი და გისოსის კარები, რომლებიც დაკეტილი იყო გარედან. ეზოში გაჩერებული ავტომანქანა კეტავდა საევაკუაციო გასასვლელს. მეორე საევაკუაციო გზა იყო თავისუფალი.<br>**დანართი N7. დანართი N8.**<br>სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს იმ საევაკუაციო გზისა და გასასვლელის მოწესრიგება, რომლშიც განთავსებული იყო სარემონტო ნარჩენები. ევაკუაციის გეგმით განსაზღვრულ ადგილზე დაამონტაჟოს ბიბლიოთეკაში არსებული ცეცხლმაქრი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაიწყო მუშაობა აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დათვალიერება,<br>• **დანართი N7.**<br>• **დანართი N8.**<br>• ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ცეცხლმაქრების გადამუხტვის დოკუმენტი,<br>• საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,<br>• ტრენინგის გავლის სერტიფიკატები,<br>• წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ევაკუაციის გეგმები,<br>• დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც აქვს როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი განათების წყარო. კაბინეტში არის გამართულად ფუნქციონირებადი ხელსაბანი, რომელიც აღჭურვილია თხევადი საპნითა და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი საშუალებებით.<br>კაბინეტში არის სამედიცინო ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, კარადა, მაცივარი. გამყოფი ბარიერით (ფარდით) გამოყოფილია პაციენტის გასასინჯი სივრცე. სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, რომლებიც სისტემატურად ახლდება. მედიკამენტები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება.<br>სკოლას ჰყავს 1 ექიმი. სკოლის დებულებით განსაზღვრულია მისი მოვალეობები. ექიმი აღრიცხავს სკოლაში გაწეულ სამედიცინო მომსახურებას, პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს მოსწავლეებსა და სკოლის თანამშრომლებს, თვეში ერთხელ ახორციელებს ზოგად პროფილაქტიკურ შემოწმებას, ატარებს ინფორმაციული სახის საუბრებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის სხვა პერსონალთან.<br>სკოლის ექიმის კვალიფიკაცია (სახელმწიფო სერტიფიკატი - ზოგადი პროფილის ექიმი მკურნალი და ზოგადი პროფილის ექიმი ონკოლოგი) არ შეესაბამება საქართველოს განათლების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ერთობლივი ბრძანების მოთხოვნებს. ექიმის საქაღალდეში იყო სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ახალი ფორმა. თუმცა ექიმი ჯერ არ აწარმოებდა ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას. სამედიცინო კაბინეტში განთავსებული იყო საწოლი. **დანართი N9**<br>სტანდარტის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად: შეარჩიოს შესაბამისი სპეციალობის ექიმი, პაციენტთა მომართვიანობის აღიცხვა აწარმოოს სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში, კაბინეტი აღიჭურვოს სამედიცინო ტახტით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სამედიცინო კაბინეტის დათვალიერება,<br>• ექიმთან გასაუბრება,<br>• **დანართი N9**<br>• შპს „ახალი ქართული სკოლის“ დებულება,<br>• წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები,<br>• მედიკამენტებს შესყიდვის დოკუმენტი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | 2022 წლის 18 თებერვალს სამინისტროში შესათანხმებლად გაიგზავნა შპს „ახალი ქართული სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.<br>სკოლის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N1/14 ბრძანებით უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია სკოლის თანამშრომელი, რომელიც არის ბაკალავრიატის მე-8 სემესტრის სტუდენტი. დირექტორმა და უფლებამოსილმა პირმა განმარტეს, რომ აღნიშნული დატვირთვა (სტუდენტის სწავლების დისტანციური რეჟიმი და სასწავლო განრიგის არჩევის შესაძლებლობა) მას ხელს არ უშლიდა სამუშაო ვალდებულებების შესრულებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ბრძანება საგანგებო სიტუაციების შტაბის დამტკიცების შესახებ, 23.02.2022<br>• შპს „ახალი ქართული სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,<br>• საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,<br>• გასაუბრება დირექციასთან, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • გასაუბრება უფლებამოსილ პირთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობის შესასვლელის ვიდეომეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად, შენობის წინ, ხეზე დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების ორი კამერა. მათგან ფუნქციონირებდა მხოლოდ 1 კამერა. კამერა ვერ უზრუნველყოფდა სკოლის შესასვლელის (გარე პერიმეტრის) სრულყოფილ კონტროლს, რადგან ნაწილობრივ დაფარული იყო ხის ტოტებით. **დანართი N10**<br>შენობის პირველ სართულზე დამონტაჟებულია 1 კამერა. შენობის მესამე სართულზე, სკოლის კარის წინ ტერიტორიას აკონტროლებს 1 კამერა. კამერით სრულად ვერ კონტროლდება ტერიტორია. სკოლის შიდა პერიმეტრი (სკოლის დერეფნები) კონტროლდება უსაფრთხოების 7 კამერით.<br>საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და სკოლის სასპორტო-სააქტო დარბაზში დამონტაჟებული იყო კამერები. კამერები იყო გამორთული. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ლაბორატორიასა და დარბაზში არსებული კამერები მოეხსნა ან შეეფუთა. ვიზიტის პერიოდში უსაფრთხოების კამერები შეიფუთა.<br>სკოლის შენობაში არ იყო გამოკრული ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების შესახებ საინფორმაციო/გამაფრთხილებელი ნიშანი. ვიზიტის პერიოდში სკოლამ განათავსა აღნიშნული ინფორმაცია.<br>სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შენობის შესასვლელის ვიდეომეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად დამატებით დამონტაჟდეს უსაფრთხოების 1 კამერა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესასვლელის სრული ვიდეოკონტროლი. შენობის მესამე სართულზე, სკოლის შესასვლელში, დამონტაჟდეს დამატებით 1 კამერა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შესყიდვის დოკუმენტაცია,<br>• დათვალიერება,<br>• **დანართი N10**<br>• დირექციასთან გასაუბრება, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • უფლებამოსილ პირთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება და შინაგანაწესი.<br>შპს „ახალი ქართული სკოლის" წესდებას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტანდარტული წესდება.<br>შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2021 წლის 01 თებერვალს. შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა მოსწავლეებისათვის, სკოლაში დასაქმებული და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულია ზოგადი დებულებები, სამუშაო დრო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, შრომითი ურთიერთობების წარმოშობა, შრომითი ურთიერთობების პირობები, სამსახურეობრივი მივლინება, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პიროებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, განცხადების/საჩივრის განხილვა, მატერიალური პასუხისმგებლობა, დასკვნითი დებულებები.<br>სკოლის შინაგანაწესის მე-5 მუხლი განსაზღვრავს მატერიალური საკლასო ჟურნალის წარმოების წესს. აღნიშნული მუხლი 2021 წლის 03 სექტემბრის ბრძანებით ამოღებული უნდა იყოს შინაგანაწესიდან. თუმცა შინაგანაწესში არ განხორციელებულა ცვლილება - დოკუმენტში კვლავ იკითხება მე-5 მუხლი. სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შინაგანაწესიდან ამოიღოს ძალადაკარგული მე-5 მუხლი საკლასო ჟურნალით სარგებლობასა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას შემუშავებული აქვს დებულება. დებულებით განისაზღვრება დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქცია-მოვალეობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სადამფუძნებლო შეთანხმება, 22/02/2022<br>• დებულება,<br>• საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი, 23/02/2022<br>• შინაგანაწესი, 01/02/2021<br>• ბრძანება N1/17, 03/09/2021 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაწესებულების თვითშეფასება ჩატარებულია SWOT ანალიზის მეთოდით.<br>შპს „ახალი ქართული სკოლის" მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზი ასახავს სკოლის ძლიერ მხარეებს. სკოლა თავის ძლიერ მხარედ ასახელებს სწავლების ხარისხს, სკოლის პერსონალს, იმიჯს, მუდმივ და სრულყოფილ ინტერნეტს, უსაფრთხო გარემოს, მოსაწვლეებთან ინდივიდუალურ მიდგომას. სკოლა სუსტ მხარედ განსაზღვრავს საკუთარი შენობის არქონას, ფინანსურ მდგომარეობას, დაბალ ანაზღაურებას, პროექტებსა და კვლევებში არასაკმარის ჩართულობას. ერთ-ერთ საფრთხედ მიჩნეულია მასწავლებელთა ანაზღაურებასთან დაკავშირებული კონკურენცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პედაგოგთა დენადობა.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილია 2022-2028 წლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმის პროექტი. სამოქმედო გეგმის მიმართულებებია: პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება, მოსწავლეებში სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, მართვისა და სარეკლამო პოლიტიკის სისტემატიზაცია, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება და გაუმჯობესება, სკოლის კონტინგენტის გაზრდა. თითოეულ მიმართულებიდან გამომდინარე განსაზღვრულია ამოცანა და განხორცილების დრო. განსაზღვრული ამოცანები ფორმულირებულია ზოგადად, საჭიროებს დაკონკრეტებას. მაგ., ამოცანებია მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება და მათი მიღწევების |

| | |
|---|---|
| | გაუმჯობესება, სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა საქმიანობების ხელშეწყობა, სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ყველა ამოცანა გაწერილია ექვსივე წელზე. გარდა საკლასო ინვენტარის განახლებისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ზრდისა, რაც 2024-2025 სასწავლო წელს იგეგმება.<br>2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი საკითხები, განხორციელების პერიოდები, შემსრულებელი, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ინდიკატორი.<br>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დოკუმენტში ასახოს კონკრეტული ამოცანები, მათი განხორციელების ვადები, მიზნის მიღწევის ინდიკატორები, ანგარიშგების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | · განვითარების ექვსწლიანი გეგმა, 2022-2028,<br>· ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, 2021-2022,<br>· SWOT ანალიზი,<br>· დირექტორითან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების წესი. მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. სკოლამ წარმოადგინა შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, საერთო ბრძანებების, საკადრო ბრძანებების, მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალები და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. აგრეთვე, დოკუმენტაციის ამსახველი საქაღალდეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების წესი, 22/02/2022<br>• ბრძანება N1/23 საქმისწარმოების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე,<br>• შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი,<br>• გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი,<br>• საერთო ბრძანებების, საკადრო ბრძანებების, მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალები,<br>• შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | - |
| **რჩევები:** | - |
| **ხარვეზები:** | - |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს „ახალ ქართულ სკოლას“ ჰყავს დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პიარმენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ფსიქოლოგი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, დამლაგებელი, საგნის მასწავლებლები, ცეკვის მასწავლებელი, დამატებითი მომსახურების მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი და სპეციალური მასწავლებლის დამხმარე. მნეს ფუნქციები შეთავსებული აქვს მზარეულის დამხმარეს. ისტ მასწავლებელი ითავსებს ისტ მენეჯერის ფუნქციებს.<br>ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში სკოლის სურვილია განახორციელოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსის არსებობა; სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურზე არსებული საათობრივი დატვირთვის განაწილების პროექტი. აღნიშნული მონახაზის მიხედვით, ვიზიტის პერიოდში, სკოლაში ვაკანტური იყო ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკის, არჩევითი საგნების, სპორტის, საგზაო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წესებისა და მოძრაობის უსაფრთხოების მასწავლებლების პოზიცია. ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო:<br>• ქართულ ენასა და ლიტერატურის 1 მასწავლებელი. მისი არსებული დატვირთვაა 25 სთ., ხოლო საშუალო საფეხურზე ვაკანტურია 15 საათი.<br>• მათემატიკის 1 მასწავლებელი. მისი არსებული დატვირთვაა 15 სთ., ხოლო საშუალო საფეხურზე ვაკანტურია 15 საათი.<br>• ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 1 მასწავლებელი. მისი არსებული დატვირთვაა 22 სთ., ხოლო საშუალო საფეხურზე ვაკანტურია 5.5 სთ.<br>• ფიზიკის მოწვეული მასწავლებელი. მისი არსებული დატვირთვაა 6 სთ., ხოლო საშუალო საფეხურზე ვაკანტურია 5 სთ.<br>საშუალო საფეხურზე სკოლა გეგმავს შემდეგი არჩევითი საგნების სწავლებას: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: თეორიული და პრაქტიკული კურსი, საქართველოს ეთნოგრაფია და მსოფლიო კულტურა. საგნებში „საქართველოს ეთნოგრაფია,“ „მსოფლიო კულტურა“ და „საგზაო წესები და მოძრაობის უსაფრთხოება“ იგეგმებოდა ვაკანსიის გამოცხადება.<br>სკოლაში დამატებითი მომსახურების მასწავლებლად დასაქმებული პირს გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამა და ის 2022-2023 სასწავლო წელს დასაქმდება უფროს მასწავლებლად. თუმცა ხელშეკრულება აღნიშნულის თაობაზე ვიზიტის პერიოდში გაფორმებული არ იყო. აგრეთვე, დირექციის განმარტებით, სკოლის უსტატუსო ფიზიკის მასწავლებლის საკითხი არის განხილვის პროცესში და სკოლის მოლოდინით, მას მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.<br>დირექტორის განცხადებით, მასწავლებელთა ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსი უახლოეს დღეებში გამოცხადდებოდა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • EMIS ამონაწერი,<br>• საშტატო განრიგი,<br>• მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის მონახაზი საშუალო საფეხურისათვის,<br>• შრომითი ხელშეკრულებები,<br>• პირადი საქმეები,<br>• დირექციასთან გასაუბრება,<br>• დასაქმებულ პირებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 25 |
| მოწვეული/მაძიებელი | 4 მოწვეული/1 მაძიებელი<br>2 შემცვლელი<br>1 უსტატუსო |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | |
| უფროსი მასწავლებლი | 17 |
| წამყვანი მასწავლებლი | |
| მენტორის სტატუსი | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | განათლების სისტემის საინფორმაციო ბაზიდან ამონაწერის თანახმად სკოლაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი. 17 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი.<br>ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 2 შემცვლელი მასწავლებელი, რომლებიც ცვლიდნენ ანაზღაურების გარეშე შვებულებაში მყოფ 2 პედაგოგს (ინგლისური ენისა და ისტორიის პედაგოგებს).<br>სკოლაში მუშაობს 4 მოწვეული მასწავლებელი, რომლებიც ატარებენ არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50%-ს და აქვთ შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია.<br>სკოლაში დასაქმებულია 1 მაძიებელი მასწავლებელი. ის ამავე დროს მუშაობს სხვა სკოლაში, რომელშიც გადის მაძიებლობის პროგრამას.<br>განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელს არ უფიქსირდებოდა მასწავლებლის სტატუსი. თუმცა ის, ამავე დროს, დასაქმებულია სხვა სკოლაში მაძიებელ მასწავლებლად. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაციის ასახვა ბაზაში ვერ მოხერხდა, რადგან პედაგოგი დასაქმებული იყო კონკურსის შესახებ განაცხადის საჯაროდ გამოქვეყნების გარეშე.<br>შინაგანაწესის მიხედვით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის გაფორმებისას კანდიდატის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია, რომელთა შორის მოითხოვება ნასამართლეობის ცნობა (მხოლოდ მასწავლებელს) და ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ“. დასაქმებულთა პირად საქმეებში წარმოდგენილია შინაგანაწესით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • EMIS ამონაწერი,<br>• პირადი საქმეები,<br>• ხელშეკრულებები,<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი,<br>• ბრძანებების ჟურნალი,<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება,<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ახალი ქართული სკოლის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლაში მასწავლებელთა მიღება ხდება კონკურსის გზით. გამონაკლისს წარმოადგენს მოწვეული და შემცვლელი მასწავლებლების მიღება. კონკურსის წესებსა და პირობებს არეგულირებს შინაგანაწესი. კონკურსის შესახებ განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ ვებ-გვერდზე pedagogi.ge.<br>სკოლას ვთხოვეთ წარმოედგინა მასწავლებელთა შერჩევის მიზნით ჩატარებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტაცია (ბრძანებები შიდა და გარე კონკურსის გამოცხადების შესახებ, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები). დირექტორის განმარტებით, ვაკანსიები ქვეყნდება საჯაროდ, თუმცა კონკურსის გამოცხადების შესახებ დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი არ გამოიცემა; არ განისაზღვრება გამოცხადებული კონკურსის ვადები, კონკურსის პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. ერთი მასწავლებელი დასაქმებული იყო კონკურსის შესახებ განაცხადის საჯაროდ გამოქვეყნების გარეშე.<br>**დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიეცა რეკომენდაცია, რომ მასწავლებელთა შერჩევის პროცესი წარმართოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N174/ნ-ით განსაზღვრული რეგულაციების დაცვით.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | · შპს „ახალი ქართული სკოლის“ შინაგანაწესი,<br>· ბრძანება დისციპლინური კომიტეტის დამტკიცების შესახებ, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | · ვებ-გვერდი pedagogi.ge<br>· დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.<br>ხელშეკრულებით განისაზღვრება: ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, სამუშაო დრო, სამუშაო ადგილი და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და და მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება,<br>ხელშეკრულებაში განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. დასაქმებულის მიერ ხელმოწერით დადასტურებულია, რომ სკოლის დირექტორმა მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნო სკოლის შინაგანაწესი.<br>მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში დასაქმებულის სამუშაო პოზიციაზე არ არის მითითებული დასაქმებული მასწავლებლის სტატუსი, თუმცა ხელშეკრულების დადების საფუძვლად, შრომითი ხელშკრულების კატეგორიის განსაზღვრის მიზნით, მითითებულია N174/ნ ბრძანების შესაბამისი მუხლი და პუნქტი.<br>სკოლაში დასაქმებულია ერთი წამყვანი მასწავლებელი. მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული N174/ნ ბრძანებით (მუხლი 11[1], პუნქტი 7.) განსაზღვრული მინიმუმ ოთხი ფუნქცია.<br>დაწესებულებას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მიეცა რეკომენდაცია, რომ წამყვან მასწავლებელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული წამყვან მასწავლებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფუნქციებიდან მინიმუმ ოთხი ფუნქცია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებისა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამონაწერის შესწავლით გამოიკვეთა, რომ<br>• დამატებითი მომსახურების/გახანგრძლივებულის მასწავლებელთან, რომელიც ატარებს დამატებით მეცადინეობებს ძირითადი გაკვეთილების შემდეგ, გაფორმებული იყო ხელშეკრულება მოწვეული მასწავლებლის პოზიციაზე.<br>• სკოლაში დასაქმებული შემცვლელი მასწავლებელი განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ფიქსირდებოდა როგორც მოწვეული მასწავლებელი.<br>• მარკეტინგისა და ფინანსების მენეჯერის თანამდებობაზე დასაქმებული პირი განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ფიქსირდებოდა როგორც პიარმენეჯერი.<br>სტანდარტის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დასაქმებულთა სამუშაო პოზიციის შესახებ ასახული ინფორმაცია შესაბამისობაში მოიყვანოს მასწავლებელთა ხელშეკრულებაში მითითებულ პოზიციებთან. დამატებითი მომსახურების პედაგოგთან გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამისი პოზიციის მითითებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • EMIS ამონაწერი,<br>• გაფორმებული ხელშეკრულებები,<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი,<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. შპს „ახალ ქართულ სკოლას“ შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება.<br>სკოლას ვთხოვეთ წარმოედგინა აღნიშნული ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ გაკვეთილებზე დაკვირვების ჩანაწერები, რომელიც იყო მითითებული ინფორმაცია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაკვეთილის, მასწავლებლის, დასწრების თარიღის შესახებ და გაკვეთილის მოკლე შეფასება, თუ რამდენად წარიმართა გაკვეთილი გეგმის მიხედვით და როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა.<br>სკოლამ ვერ წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ჯგუფის ოქმები, დაკვირვების ფორმები და სხვ. გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში არ მუშაობდა ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და არ ხორციელდებოდა სკოლის დებულებით განსაზღვრული აქტივობები.<br>სკოლას ვთხოვეთ წარმოედინა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი. სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა დასაქმებულთა (ადმინისტრაციული, დამხმარე და პედაგოგიური პერსონალი) პროფესიული განვითარების დებულება, რომელიც ასახავდა, თუ როგორ ხდება დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.<br>სკოლას ვთხოვეთ წარმოედინა სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში. სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ პირველადი სამედიცინო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანიზების და სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგის გავლის სერტიფიკატები. სკოლამ ვერ წარმოადგინა დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობები/სერტიფიკატები.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პირადი საქმეების შესწავლითა და დასაქმებულებთან გასაუბრებით ვერ დადგინდა, რომ თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებში.<br>გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებენ პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და სხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების უკეთ შესრულებისთვის.<br>**დაწესებულებას სტანდარტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშავოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი. განახორციელოს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით გაწერილი აქტივობები.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დასაქმებულთა პირადი საქმეები, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შპს „ახალი ქართული სკოლის" მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება,<br>• ბრძანება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებისა და ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, 24/12/2020<br>• განვითარების ექვსწლიანი გეგმა,<br>• დირექტორის მიერ გაკვეთილზე დაკვირვების ჩანაწერების ჟურნალი,<br>• მასწავლებლებთან გასაუბრება,<br>• დირექციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზიტის პერიოდში სკოლაში ჩატარდა გასაუბრებები მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან. ისინი აღნიშნავენ, რომ სასწავლო გარემო სკოლაში კეთილგანწყობილი, მხარდამჭერი და თანამშრომლობითია, გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომა. მშობლები აღნიშნავენ, რომ სკოლაში არის დაცულობის ატმოსფერო, სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან კომუნიკაცია თანამშრომლობითია, მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესების გათვალისწინებულია. სკოლაში იმართება სასკოლო შემეცნებითი, სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გასაუბრება მოსწავლეებთან,<br>• გასაუბრება მშობლებთან,<br>• გასაუბრება დასაქმებულ პირებთან,<br>• გასაუბრება დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | • მასწავლებელთა შერჩევის პროცესი წარმართოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N174/ნ-ით განსაზღვრული რეგულაციების დაცვით.<br>• შეიმუშავოს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი. განახორციელოს მასწავლებელთა ხარისხის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით გაწერილი აქტივობები. |
| რჩევები: | - |
| ხარვეზები: | • სკოლას არ ჰყავდა საშუალო საფეხურის განხორციელებისათვის საჭირო მასწავლებლები რამდენიმე საგანში.<br>• დაწესებულებაში კონკურსის გამოცხადების შესახებ დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი არ გამოიცემა; არ განისაზღვრება გამოცხადებული კონკურსის ვადები, კონკურსის პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. ერთი მასწავლებელი დასაქმებული იყო კონკურსის შესახებ განაცხადის საჯაროდ გამოქვეყნების გარეშე.<br>• შემუშავებული არ არის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმი, არ მუშაობდა ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და არ ხორციელდებოდა სკოლის დებულებით განსაზღვრული აქტივობები. ვერ დადგინდა, რომ თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებში. |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

• თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

1. **დანართი N1.** სასკოლო სასწავლო გეგმა 2021-2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

2. **დანართი N2.** სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი საშუალო საფეხურისათვის
3. **დანართი N3.1. - დანართი N3.2.**
4. **დანართი N4.1. - დანართი N4.2.**
5. **დანართი N5.**
6. **დანართი N6.**
7. **დანართი N7.**
8. **დანართი N8.**
9. **დანართი N9.**
10. **დანართი N10.**

**თბილისი** **22 ივნისი**
(შევსების ადგილი)
თარიღი
გვერდების რაოდენობა - **48**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.